 სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
29.10.10 N 144
თბილისი
მათემატიკასა და ფიზიკაში
კომპიუტერული ტესტირების
ჩატარების შესახებ

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მათემატიკისა და ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების მიზნით

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2010/2011 სასწავლო წელს სტუდენტთა შუასემესტრული შეფასებები და დასკვნითი/დამატებითი გამოცდები მათემატიკასა და ფიზიკაში განხორციელდეს კომპიუტერული ტესტირებით, პილოტირების რეჟიმში.

2. კომპიუტერული ტესტირების ჩატარების მიზნით ჩამოყალიბდეს საორგანიზაციო-ტექნიკური / საგამოცდო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

დავით კაპანაძე – ეკონომიკური ინფორმატიკის მიმართულების ასოც. პროფესორი, ჯგუფის ხელმძღვანელი;

თალიკო ჟვანია – ეკონომიკური ინფორმატიკის მიმართულების ასოც. პროფესორი;

მზია კიკნაძე – სისტემებისა და ქსელების მიმართულების ასოც. პროფესორი;

თეა თოდუა – ხელოვნური ინტელექტის მიმართულების ასოც. პროფესორი;

ანა კობიაშვილი – ეკონომიკური ინფორმატიკის მიმართულების ასოც. პროფესორი;

ჯგუფში ასევე შევიდეს თითოეული ფაკულტეტის წარმომადგენელი.

3. საორგანიზაციო-ტექნიკურ / საგამოცდო ჯგუფს დაევალოს:

ა) განახორციელოს ტესტირების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ბ) უზრუნველყოს ფიზიკისა და მათემატიკის დეპარტამენტების მიერ მომზადებული ტესტური დავალებების ბანკის ფორმირება, მათი განთავსება კომპიუტერული ტესტირების სისტემასა და ინტერნეტში;

გ) უზრუნველყოს დეკანატების მიერ წარმოდგენილი სტუდენტების სიების მონაცემთა ბანკის ფორმირება და მათი განთავსება კომპიუტერული ტესტირების სისტემაში;

დ) შეადგინოს ტესტირების ჩატარების გრაფიკი;

ე) დროულად მიაწოდოს დეკანატებს ტესტირების ჩატარების გრაფიკი და სხვა საჭირო ინფორმაცია;

ვ) დაიცვას ტესტირების დადგენილი ვადები;

ე) უზრუნველყოს სტუდენტებისთვის და  დეკანატების ტესტირების შედეგების დროულად გაცნობა/მიწოდება.

4. ტესტირების პროცედურასთან და შედეგებთან დაკავშირებული შესაძლო პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას საპრეტენზიო კომისია, რომელშიც შევა:

ა) სწავლების დეპარტამენტის ერთი წევრი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) მათემატიკის დეპარტამენტის ერთი წარმომადგენელი;

გ) ფიზიკის დეპარტამენტის ერთი წარმომადგენელი;

დ) საორგანიზაციო-ტექნიკურ / საგამოცდო ჯგუფის ერთი წარმომადგენელი;

4.1. საპრეტენზიო კომისიაში განცხადებების მიღება მოხდეს ტესტირების შემდეგ, ერთი დღის განმავლობაში;

4.2. საპრეტენზიო კომისიამ უზრუნველყოს ყოველი განცხადების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების განმცხადებლისათვის გაცნობა;

5. დაევალოს დეკანატებს დახმარება აღმოუჩინოს საორგანიზაციო-ტექნიკურ / საგამოცდო ჯგუფს ტესტირების ორგანიზებაში და ჩატარებაში, დროულად გააცნოს სტუდენტებს ტესტირების ადგილი და დრო.

6. ტესტირება ჩატარდეს 2010/2011 სასწავლო წლის პირველი და მეორე სემესტრების სასწავლო განრიგების შესახებ სტუ-ს ბრძანებებით განსაზღვრულ შესაბამის პერიოდებში.

7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს იური ლომიძეს.

8. ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

9. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
*ლ. კლიმიაშვილი*
სწავლების დეპარტამენტის უფროსი
*ი. ლომიძე*
იურიდიული დეპარტამენტის  უფროსი
*ბ. მაისურაძე*